

გ ა მ ც ე მ ი

დრამა 3 მოქმედებად და 2 სურათად.

(შემდეგი *).

მთქმელები მეორე

სურათი პირველი.

(იგივე დეკორაცია. შუა დღეა. შაქრო და ნინო ტახტზე სხედან).

ნინა. რატო ისე მოწყენილი სახე გაქვს, ჩემო კარგო?... რა ვქნა, რას გაჩუმებულხარ?... ნუ თუ ჩემი მოსვლა არ გაი-
მა?... რა ვიცი, ისე იშვიათად კი ვხედავთ ერთმანეთს...
გუშინ და გუშინწინ ვერას გზით ვერ მოვახერხებ მოსვლა
და ასე მგონია მთელი საუკუნე არ მინახავიხარ... (მოე-
ხვევა, აკოცებს, შაქრო უკან იწევს, ხელით იშორებს)
რა ვქნა, ეს რა ამბავია?... შაქრო, რა დაგემაართა?..

შაქრო. (წამოხტება) დაიცა... თითქოს ვილაცამ კარი დაარა-
კუნა?... ჰა, ვერ გაიგონე?... (გაიხედავს სამზარეულოში)
არა, არავინა სჩანს... (მივა და სარკმლიდან ქუჩაში იხე-
დება) არც აქედანა სჩანს ვინმე... (ნინას) რომ მოდიო-
დი, ხომ არვინ შეგხვედრია?..

ნინა. ქა, ამოდენი სოფელი გამოვიარე და როგორ არავინ
შემხვედებოდა... პაჭუა აზნაური, ასლანიანთ თამრიკო,
რამოდენიმე გლეხი, დიაკვანი... როგორ ჩამოვთვალო
ყველანი?... (შაქრო ხშირად იხედება ხან სარკმლიდან,
ხან სამზარეულოში) ნეტა, შაქრო, ვის მოვლი აგრე
მოუთმენლად?

შაქრო. დაიცა, დაიცა... თითქოს ბაღში ხმაურობაა?..

ნინა. სად რა ხმაურობა გესმის, მე ვერ გამიგია... გენაცვა,
შაქრო, რა გემაართება?... (მივა შაქროსთან, მოეხვევა.
შაქრო იშორებს).

შაქრო. მეტის-მეტი სანტიმენტალური ხასიათი გაქვს... მეტის-
მეტი აღტაცება იცი... სულ მარტო ხვევია კოცნაში
ხომ არ უნდა ვატაროთ დრო?..

ნინა. რა ვქნა, მე შენი ვერა გამიგია რა... ხან იმას მაყვედ-
რი: მეტის-მეტად გულგრილად მექცევით და ახლა კი,
როდესაც ამოდენი ხანი არ მინახავიხარ, მიჯვარდები,
რომ ვერ მოვითმინე და... ცოტა... ალერსიანაუ მოგე-
ქცი... შენ ხომ კარგად იცი მე ალერსს დაჩვეული არა
ვარ და ნუ თუ იმ ადამიანისგან, რომელსაც ყოველის-
ფერი შეგწირე, ღირსი არ ვარ ალერსისა?..

შაქრო. ახლა დრო არ არის მაგნიარ მალალ ფრაზებისთვის...
ტრფიალება, პოეზია... მთავრე... არჩილ დიდიძის საქ-
მეა... ჰა! მოწყალების თვალთ შემოგხედა ბრწყინვალე
დონჟუანმა, განა?... შენც, რასაკვირველია, როგორც მე-
ტად გრძნობიერმა და რომანტიულმა არსებამ...

ნინა. შაქრო!.. ხა, ხა, ხა... ნუ თუ ეჭვი?... რისთვის მაყენებ
მაგ შეურაცყოფას?... კარგად იცა შენს გარდა ჩემთვის
არავინა სუფევს... მე დიდძლების სახლში, ვითომ და ნა-
თესავი თითქმის ნახევრად მოახლე ვარ... ბებერი კნენა
არას დროს არ მავიწყებს რომ სამადლოდ მინახავს...
ოხ, ჩემო სიცოცხლე, რა ძნელია სხვისა ხელადან ლუკ-
მის მიღება... ღმერთო, როდის იქნება რომ და-
ვალწიო მათ თავი?... როდის იქნება რომ ჩვენ
ერთად ვიყოთ, ჩვენთვის ერთად ვიშრომოთ?... არ
ვიცი დიდხანს გამიძლებს ძალა და მოთმინება, რომ
კიდევ ვატარო ეს შიშიმე ტვირთი?... ელენეს და არჩილს
ვერ დავემდურები... მეტადრე არჩილი ჯერ-ჯერობით
ისეთი თავაზიანად და პატივისცემით მექცევა... ისეთი
მოწიწებით მელაპარაკება რომ მიკვირს კიდევ...

შაქრო. ნამდვილი დონჟუანური სროკია...
ნინა. არ დავიჯერებ, შაქრო, რომ შენ ეჭვი გაწუხებდეს...
შენ ზალაც გემაართება... რიდათიცა ხარ აღელვებული...
აი რავდენი ხანი ააქა ვარ და ჯერ ხეირიანად არც კი
დამლაპარაკებიახარ... ან იქნება შენი... გრძნობა შეიცვა-
ლა?... იქნება დრო დადგა და მე შენთვის ის ნინა აღარა
ვარ, რაც წინად ვიყავი?... შენ არა ერთხელ გითქვამს,
რომ მუდმივი განუწყვეტელი სიყვარული არა გწამს და
ვინც ამას ფიცულობს—სტყუისო... იქნება შენს გრძნო-



ნიკიფორე ირბახი.

(იხილეთ დღევანდელი გაზეთი).

ბას ბოლო დაემჩნია?... დღეს პირველი არ არის რაც
თითქოს გულგრილობა, მოწყენილობა შეგამჩნე... გულ-
მა როგორღაც არა ერთხელ ამითამაშა...

შაქრო. ნუ სულელობ... აკი ვამბობ მეტის-მეტი რომანტიუ-
ლი ხასიათი გაქვს... (დასვამს ტახტზე და გვერდით მიუ-
ჯდება) მე ჩემს გრძნობას აგრე ადვილად არა ვცვლი...
ჩვენი ბედი ერთი და იგივეა... ჩვენი გზები შეერთდნენ
და ერთი მეორის დახმარებით უფრო ადვილად ვივლით...
დაიცა... (წამოდგება) ახლა კი მგონია ვილაცა მოდის
(გაიხედავს სარკმლიდან) თუ სამზარეულოდან მომესმა?...
(მიდის სამზარეულოში, მალე დაბრუნდება) ნინა, სალა-
მოზე თქვენსა უნდა მოვიდე... არჩილთან საქირო საქმე
მაქვს...

ნინა. ვიცი, ვიცი... გუშინ არჩილი და ელენე ლაპარაკობ-
დნენ... ვერ წარმოიდგენ როგორ გამეხარდა... მაშ ხში-
რად შევხვედებით ერთმანეთს...

შაქრო. დღეს საღამოზე პირველი და უკანასკნელი იქნება
• ჩემი მოსვლა... არც დღეს მოვიდოდი, მაგრამ მეტად სა-
ჭირო საქმე მაქვს... ისიც კმარა რომ შენ ჯერ-ჯერო-
ბით იძულებული ხარ იმითან იყო... (სამზარეულოდან
კარის ქრატუნის მოსმის. შაქრო წამოხტება და იქითკენ
გაიწევს. შემოდის მარიკო).

მარიკო. მე ვარ, შვილო, მე... რატო ისე შეგეშინდა?..

შაქრო. ოხ, შენა ხარ, დედილო!.. (მარიკო ნინას აკოცებს).


მარიკო. (ნინას) შე, კულიანო, ისე როგორ გამოიპარე, რომ
მე ვერც კი გავიგე?... შვილო, უჩემოდ მაინცა და მაინც
აქ ნუ მობრძანდები ხოლომე... მართალია დარწმუნებული
ვარ შენ და შაქრო საზღვარს არ გადასცილდებით, მაგ-
რამ სხვამ რომ გაიგოს, ყბედობას დაიწყებენ... გაიგებს
დიდი კნენა და დავილუბებით...

შაქრო. ვის რა საქმე აქვს?... ნინა თავისუფალი ადამიანია...
ხვალ ზეგ ჩემი ცოლი იქნება...

მარიკო. როცა იქნება, მაშინ სხვა და ახლა კი გაფთხილე-
ბაა საქირო... ქალისათვის სახელის გატეხა სიკვდილზე
უარესია... მე ნინა შენზე ნაკლებ არ მიყვარს და ამი-
ტომაც ვაფთხილებ... სინამ ბატონიანთ სახლშია, სინამ
იმათ ლუკმასა სჯამს, ისე უნდა მოიქცეს, რომ იმათ
ოჯახს არაფერი ჭუჭყი არ მოეცხოს... ამიტომ ვეუბნე-

* იხ. სურათებიანი დამატება, № 96.

ოლიმპიური ვარჯიშობანი.



წელს ქ. სტოგპოლში საზაფხულოდ გაიმართება ძველ ბერძენთა მინაგვარი საერთაშორისო ოლიმპიური ვარჯიშობანი. აქ დახატულია საამისოდ მოწყობილი თეატრი, ზემოდ კი მოდელი მთელის შენობისა.

ბი... ერთი კი თვალი მოჰკრას აშარმა თამრიკომ და ისეთ ქორებს გამოაცხობს, რომ ქვეყანა შეინძრევა... შვილო, შაქრო, არჩილმა შემოგიტვალა: ბევრი ვეცადე, ბევრი ვეხვეწე ბიძა-ჩემს ასლანსაო და ვერას გავხდიო... კრება ვერას გზით ვერ გადაიდებო და მეც უსათუოდ უნდა დავესწროო... სწუხდა საწყალი, რაღა სწორედ დღეს მოუნდათ კრებაო... მე დავამშვიდე და შენს მაგივრად სიტყვა მივეცი, ხვალ უსათუოდ მოვა მეთქი...

შაქრო. ან დღეს საღამოზე, ან—არასოდეს...

მარიკო. შვილო, სადაური ჟინიანობაა?... შენ ეგები არ იცოდი და ახლა რაღა დაგემართა?... უცნაურია შენმა სიცოცხლემ!.. პირობას უყენებ, გინდათ თუ არა ამ დროს მოვალ და შინ უნდა დამხვდეთო...

შაქრო. დიახ, მარტო მაგ პირობით მივალ მე იმათთან... შენ ეს მითხარი, დედა, სიკო ხომ არსად შეგხვედრია?..

მარიკო. არ დამანახოს მაცხოვარმა ღმერთმა ის ბნელიანი... იმისი მოსვლა და შენი აღელვება და ავად გახდომა ერთი იყო... ის დამთხვეული ვის არ გააგოფებს... ერთი ნეტავი არ მინდა აქ გამოჩნდეს, რომ სულ ქისტის კვრით ვიფორინო...

შაქრო. სიკო აქამდისინ უნდა მოსულიყო... მეტად საჭირო საქმე ჰქონდა... ნუ თუ არ მოვა?..

მარიკო. ადამიანო! ი ბიჭი გუშინ აქედან თავის სახლში წავიდა და აბა, ერთი მითხარი დღეს იმ სიშორიდან როგორ მოასწრებს დაბრუნებას?..

შაქრო. ის შინ არ წავიდა...

მარიკო. მაშ სად ჯანაბას წაეხირა?... ნეტა რა გაგინდა ის ბნელიანი?... ან ვინ არი ის უტვინო, ვინც მაგ ბნელიანს რაიმე საქმეს ავალებს?... დასწყევლოს ღმერთმა, ის ისე არ მოშავდება აქ, რომ ერთი უბედურება არ დაგვემართოს... ერთხელ იყო მოეხირა, მეორე დღეს შენ დაგიპირეს... ჰაი რა წვალებით და რა ტანჯვით დაგიხსენით... ღმერთმა მიცოცხლოს დიდხანს კენინა და ელენე... იმათ გიშველეს, თორემ ვინ იცის აქნობამდისინაც არ გაეშვიტ... მეორედ მოეხირა სიკუა და იმ წამსვე თავს დაგვეცხენ, გაგვჩხრიკეს, მთელი სახლი გადმოგვიბრუნეს და მეც ჩემი დამემართა... ახლა გუშინ მოეთრია და აი მეორე დღეა მოსვენება არა გაქვს... სულ გაღირიე... ჯერ იყო დასაცოდავ ყმაწვილს, არჩილს რეები არ უთხარი... ახლა კიდევ ჟინმა აგიტაცა, გინდა თუ არა დღეს უნდა მივიდეთ... შვილო, რა გემართება, რა მოგდის?... თუ გვიმალავ რასმე?... რისთვის?... თუ ჩვენს თავს უბედურება მოეღოს, გვითხარი... სჯობს წინაღვე ვიცოდეთ... ეგები უშველოთ რამე?..

შაქრო. მოიცა, მოიცა, დედა (ყურს უღდებს) თითქოს მოდიოდა ვინმე... წავიდე, გავიხედო გზაზე... აქამდისინ რა დამართა?... უნდა მოსულიყო... (გავა სამზარეულოში).

მარიკო. ოხ, შვილო, ნინა!.. გული მისკდება... მე თვალდამდგარს სწორედ რაღაცა საშინელი უბედურება მომეღოს... ვერ წარმოიდგენ გუშინდელს აქეთ შაქრო რა მდგომარეობაშია... რაც ის პირქუში მოშავდა, ი ჩემი ნათლული, ყმაწვილს მოსვენება აღარა აქვს... წუხანდელი ღამე თითქმის თვალი არ მომიტვლემია... ვერ დავიძინე... შაქრო მთელი ღამე შფოთავდა... ბოდავდა... ეტყობოდა მაგასაც არ ეძინა... შიშით ხმას ვერა ვცემდი, ვაი თუ უფრო აღშფოთდეს და აღელდეს მეთქი... საღამოთი რაღაც წერილს დიდხანს სწერდა, არ ვიცი გავხავნა თუ არა... ნეტა იმ ჩემი ცოდვით სავსემ ისეთი რა შეატყობინა?... გენაცვალე, ჩემო სულო და გულო, იქნება შენ გამოგიტყდეს როგორმე... ვაი თუ ხიფათი რამე მოეღოს და მიმალავს?..

ნინა. ისეთი რა უნდა იყოს?... მე მეცოდინებოდა... რამდენადაც ვიცი შაქრო ახლა მეტად ფთხილად იქცევა და არა მგონია საშიში რამ მოელოდეს... მაგრამ მეც კი შევამჩნიე, რილათიც ძრვიელ აღელვებულია და მოუთმენლად მოვლის, როგორც ეტყობა, სიკოს... ამხანაგებისა თუ რამე გაიგო და დაწვრილებითი ცნობებს ეღის?... არა მგონია... მაგას გვეტყოდა... რაღაც კი უნდა იყოს... ისეთი უცნაურად მექცეოდა ახლა... წარმოიდგინეთ ექვიალობაც კი დაიწყო...

მარიკო. ჯა, შაქრომ?... რაო, მაინც ვისზე მიიტანა ექვი?..

ნინა. წამოიდგინეთ არჩილზე...

მარიკო. იცი, შვილო, მეც კი უნდა გამეფთხილებინე... მართალია არჩილი როგორც ნამდვილი შვილი მიყვარს, შაქროსთან არ ვარჩევ... მაგრამ მაგ საქმეებში კი, უნდა ვითხრა, ნამდვილად თავის მამის ფეხია... ცხონებული სიბერემდის ისეთი ავ ხორცი იყო, რომ მის შიშით კენინა ვერც ერთ ახალგაზდა გოგოს სახლში ვერ იკარებდა... არჩილს ჯერ უღვაშები არც კი ამოსლოდა, რომ სოფელში გოგოებს მისგან მოსვენება არა ჰქონდათ... შენ კი რა დარიგება გინდა... არა ჰგვეხარ ახლანდელ აშარ გომპიოებს... მაგრამ მაინცა და მაინც საჭიროა გაფთხილება...

ნინა. რასა ბძანებთ, ბატონო, განა ჩემთვის შაქროს მეტი სუფევს ვინმე კიდევ?..

მარიკო. უი შენ-კი გენაცვალოს ჩემი თავი... ნეტა როდის მოვესწრობი თქვენ გაბედნიერებას? (ჰკოცნის) ერ-

სამხრეთ პოლიუსის აღმოჩენა.



კაპიტანი ამუნდსენი

როგორ დარწმუნდა, რომ სამხრეთ პოლიუსს მიაღწია.

სურათი მეორე.

თი ფუნჩულა შვილიშვილი კი გამომიგორე! და მაშინ საი-
ქიოს ადვილად გავემგზავრები...

ნინა. უიმე რასა ბძანებთ...

მარიკო. შვილო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, აბა ვინძლო
გამოჰკითხო როგორმე შეპქროს... ნეტა რა აწუხებს?...
ის რო მოვა, მე გავალ და შენ იცი... (შემოდის შეპქრო).

შეპქრო. არსადა სჩანს!.. ალბად დღეს ველარ მოვა...

მარიკო. იტუქუტუკეთ, ჩემო გვრიტებო, მე არ დაგიშლით...
მხოლოდ, შვილო ნინა, ნუ დაგვიანდები... კნენამ არ
მოგიკითხოს...

ნინა. არა, ბატონო, მე მალე გიახლებით... (მარიკო გავა. ნი-
ნა მიუახლოვდება შეპქროს) ჩემო სიცოცხლე, შეპქრო!..
შითხარი, გენაცვალოს ჩემი თავი, რა აწუხებს?... მე და
დედა-შენს ლამის არის შიშით გულელები დაგვისკდეს...
ნუ თუ მე, შენს ნინას, მიმაღავ რასმე?..

შეპქრო. ო-ო, თქვენც დაიწყებთ ხოლმე... რა მოხდა და რა
ამბავია... არაფერი ჯერ არ მომხდარა და... შეიძლება კი
მოხდეს...

ნინა. უიმე, შეპქრო, და რა უნდა მოხდეს?..

შეპქრო. ა-ახ, არაფერი... აი სიკო უნდა მოსულიყო... უსა-
თუოდ უნდა მოსულიყო... და შეიძლება... არ მოვიდეს...
და ეს კი... არ შეიძლება...

ნინა. რა ვქნა, გენაცვალე შეპქრო, რატო ისე არეულად ლა-
პარაკობ?... (მოეხვევა) შითხარი, ჩემო სიცოცხლე, რად
არის აგრე საჭირო სიკოს მოსვლა?..

შეპქრო. (მოიშორებს) დაიცა თუ ღმერთი გწამს... რა დროს
ეგებია?... რად უნდა მოვიდეს?... საჭირო საქმეა... უსა-
თუოდ უნდა მოსულიყო... და აი არ მოვიდა... მაშა-
სადამე...

ნინა. მაშასადამე?...

შეპქრო. მაშასადამე საქმე ვერ აუსრულებია...

ნინა. რა საქმე?..

შეპქრო. ო-ო, რა და რა... ის საქმე, რომელიც უნდა აესრუ-
ლებინა... (მიდის მაგიდასთან, მობრუნდება, დახედავს
საათს) რომელ საათზე აპირებს არჩილი კრებაზე წას-
ვლას?..

ნინა. შვიდ საათზე...

შეპქრო. ახლა პირველია... (ისევ გასწევს მაგიდისკენ, მივა,
გამოაღებს უჯრას, ამოიღებს დაბეჭდილ წერილს, მერე
მე ისევ ჩასდებს... წავა ნინასთან) ნინა!.. ერთი თხოვნა
უნდა ამისრულო... მეტად საჭიროა...

ნინა. ოღონდ შენ კარგად იყავი, ოღონდ შენ დამშვიდდი და
მიბძანე, თუ კი შემიძლიან, ყოველისფერს აგისრულებ...
იქნება შესანახი გაქვს რამე?.. მომეცი... პირველი ხომ
არ არის... შენ კარგად იცი რომ დიდძეების სახლზე
ექვს ვერვინ აიღებს... თუ კი ეგ გაწუხებს, მაგაზე ადვი-
ლი რა არის?... რაც გინდ იყოს ისე შევინახავ, რომ ეშ-
მაკიც ვერ იპოვნის...

შეპქრო. (გაბრუნდება, ამოიღებს იმავე წერილს, მიუახლოვ-
დება ნინას და დააქქერდება) ეს წერილი, არჩილს ხელ-
ში უნდა ჩაუვარდეს... ისე კი რომ ვერ გაიგოს საიდან
და როგორ მიუვიდა... მოახერხებ?... უსათუოდ უნდა
მოახერხო... ხოლო ძეხორციელომ არავინ გაიგოს...

ნინა. უიმე, შეპქრო, მაშინებ!.. ისეთი რა წერილი უნდა იყოს?..
არჩილს ხიფათი ხომ არა მოეღის რა?..

შეპქრო. ჰა, გებრალდება?... ვერ გაიმეტებდი?... არა... გეხუმრე-
ბი... ისეთი არა არის რა... ხოლო მეტად საჭიროა...

ნინა. მაშ მოიტა... მოვახერხებ მაგას... (ართმევს წერილს.
შინჯავს) ჰა, რა უცნაური ხელია... თითქოს დაუბეჭ-
დიათო... ახლა კი უნდა წავიდე, თორემ დამიგვიანდება...
ნახვამდის ჩემო სიცოცხლე... ნუ რა ფერს იღარდებ...
თუ კი მარტო ამის გადაცემა გაწუხებდა... ადვილად
მოვახერხებ... (მოეხვევა, აკოცებს) შენი ჰირიმე, შეპ-
ქრო, თავს გაუფთხილდი... და დედა-შენიც დაამშვიდე...
(გავა მარჯვნივ).

შეპქრო. (ცოტა ხანს სდგას, მერე სარკმელს მივარდება, გა-
აღებს) ნი!... (გაიქნევს ხელს, მიხურავს ფანჯარას, მობ-
რუნდება და კედელს მიეყრდნობა).

(სცენის სიღრმეში მდიდრული საბატონო სასახლე. წინ ტერასი აქვს. ტე-
რასის წინ ბაღია. სხვა და სხვა ხეები და ბუჩქები ხელოვნურად შეკვეცი-
ლები. მარჯვნივ შადრევანი, მარცხნივ საბალო მაგიდა და სკამები. საღამო
ხანია. მაგიდასთან ხელ-საქმით სხედან ელენე და ნინა. ცოტა მოშორებით
სდგას არჩილი.

არჩილ. (საათს დახედავს) შვიდის ნახევარია... მალე კიდევ
უნდა მოვემზადო... შემძიმება წასვლა...

ელენე. სწორედ გითხრა მეც არ მესიამოვნება დღეს შენი
იქ წასვლა... ძლივს რის ყოფით შეპქრო დავითანხმეთ
მოსვლაზე და ახლა ესეც ვერ მოხდება... მერე შეპ-
ქრო ისეთი თავმოყვარეა, მეორედ ჩვენსა ფებს არ შე-
მოსდგამს...

არჩილ. მარიკომ სიტყვა მომცა ხვალ უსათუოდ მოვიყვანო...
წარმოიდგინე, შეპქროს მდგომარეობა მეტად მაშინებს...
ძრიელ ცუდ ფერზე ვნახე... ეტყობა დიდი ტანჯვა და
წვალება გამოუვლია... მეტადრე სულიერი... რადგანაც
მატერიალურ პირობებს ის აგრე რიგად ყურადღებას არ
აქცევს...

ელენე. გასაკვირველიც არ არის... ჯერ ციხეში ყოფნა...
იმოდენი ტანჯვა, ადგილის დაკარგვა...

არჩილ. ერთი ნეტავი როგორმე შემოვაჩვიოთ ჩვენსა და ყო-
ველისფერი ადვილად გასწორდება... დონეზე დადგება...
მე მგონია ნინა ამაში დაგვეხმარება და ბევრსაც გვი-
შველის...

ნინა. მე?... მე რა შემიძლიან?..

არჩილ. თქვენ და ელენე... დამეთანხმებით რომ ქალს აქ უფ-
რო მეტი შეუძლიან, უფრო ადვილად მოიპოვენს კაცის
გულს, ვიდრე ჩვენ მამაკაცები... შეპქრო ჩვენთვის ერთ-
ნაირად ძვირფასია და მე ვიცი ახლა ის იმ გვარ მდგო-
მარეობაშია, რომ გულწრფელი მეგობრობა მისთვის მე-
ტად საჭიროა და სასარგებლო, თანაც იმდენად პატიო-
სანი და კეთილშობილური ხასიათის პატრონია, რომ მე
იმედი მაქვს თქვენ და ელენე დამეხმარებით მის გან-
კურნებაში... ის რომ ოცნებას არ გაეტაცუნა, არ აპყო-
ლოდა ფანტასტიურ მიმართულებას, იმოდენი ნიჭი და
შრომის უნარი აქვს, რომ ღირსეულ ალაგს დაიჭერდა
ჩვენ საზოგადოებაში... ვნახოთ, ვნახოთ... იქნება ჯერ
კიდევ გვიანი არ არის?... იქნება ყოველისფერი კიდევაც
გავასწოროთ... (ცოტა ხანს სიჩუმე) მართლა, ელენე?...
ჩემ საწერ მაგიდიდან შენ ხომ არაფერი წერილი ავიღია?...
ელენე. დღეს მე ფეხიც არ შემიდგავს შენს კაბინეტში... რა,
განა ისეთი საჭირო წერილი რამ იყო?..

არჩილ. რალაც უცნაური უსახელო წერილი დამხვდა წე-
ლან მაგიდაზე... ვილაც კეთილის მსურველი მათხილებ-
და, დღეს საღამოზე ნურსად ნუ წახვალ, თორემ საში-
ნელი ხიფათი მოგელისო... რალაც მისტიფიკაცია... თუ
ვისიმე ხუმრობა?... მე რა ხიფათი უნდა მომელოდეს?...
ვერ იქნა ვერ გავიგე, ვინ მოიტანა ის წერილი?... აგრე
რიგად, რასაკვირველია მე იმ წერილს ყურადღებას არ
ვაქცევ?... მაგიდაზე დამრჩა და მეშინიან ვაი თუ დედას
ჩაუვარდეს ხელში და ვინ იცის რა არ იფიქროს...

ელენე. უიმე, არჩილ, ხუმრობა საქმე კი არ არის... ხომ იცი
ახლა რა დროა... შენ გენაცვალე, მოდი ნუ წახვალ კრე-
ბაზე... ბარათი გაუგზავნოთ...

ნინა. მარიალა, კნიაზო... გაფთხილებას თავი არ ასტკივა...
იქნება სჯობს რომ... არ წაბძანდეთ...

არჩილ. ე-ე, რასა ბრძანებთ... გარწმუნებთ ის წერილი ვილა-
სიც უადვილო ხუმრობაა... მკლიან, ვნახოთ შეშინდება
არჩილი თუ არაო... მე ექვიც კი მაქვს ერთზე... ზაა-
ლიანთ სოსიკო იყო და სწორედ იმის მასხარაობა იქნება...
წერილს არაფრად ვაგდებ, ხოლო იმისა მეშინიან დედას
არ ჩაუვარდეს ხელში... კარგად მახსოვს ისევ მაგიდაზე და-
მრჩა... (იშინჯავს ჯიბეებს) არა სწორედ იქ დამრჩა და
ნეტა ვინ აიღო?... ელენე! ნუ თუ დედას აქნობამდისინ
სძინავს?..

ი. გელევანიშვილი.

(შემდეგი იქნება.)



ფარდა.